თვითმფრინავიდან... მატჩზე

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 3 ნოემბერი.

“ტორპედო” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

“ტორპედო”: კავაზაშვილი, ჩუმაკოვი, პახომოვი, ხარაევი, ლენიოვი, შუსტიკოვი, ალექსეევი, გერშკოვიჩი, სტაფეროვი, ბრედნევი, პაისი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, კუტივაძე, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი (იამანიძე), გ. ნოდია, დათუნაშვილი.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 2:0 “ტორპედოს” სასარგებლოდ.

გუნდების სატურნირო მდგომარეობა სხვადასხვა გახლდათ. მასპინძლები ცხრილის შუაში იმყოფებიან, ხოლო სტუმრები III ადგილის ყველაზე რეალური პრეტენდენტები არიან. მოსკოველთა რიგებში არ იყვნენ ვორონინი და სტრელცოვი. ნაკრების თბილისელი წევრები _ ხურცილავა და ცხოვრებოვი კი არ მოერიდნენ დაღლილობას (ისინი თამაშის წინ ჩამოფრინდნენ საბერძნეთიდან) და დაცვის სული და გული იყვნენ.

სწორედ ხურცილავას წყალობით მოიპოვეს თბილისელებმა მეტად საჭირო ორი ქულა. 31-ე წუთზე მან მეტოქის რამდენიმე მოთამაშეს აუარა გვერდი და იგი თითქმის პირით ხაზთან გავიდა, საიდანაც კარში დარტყმა ძნელი გახლდათ. ხურცილავამ მაინც დაარტყა კარში. კავაზაშვილმა მოიგერია ბურთი, მაგრამ იქვე მდგომმა ნოდიამ იგი ბადეში გახვია. შესვენებამდე ანგარიში უცვლელი დარჩა.

მეორე ტაიმში მოსკოველებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს თბილისელთა კართან. განსაკუთრებით აქტიურობდა ალექსეევი. სწორედ მან 58-ე წუთზე შესანიშნავად ჩააწოდა ბურთი კარის წინ მდგარ გერშკოვიჩს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა.

5 წუთის შემდეგ კუტივაძის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და გავაშელმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მდგომარეობა. მატჩის ბოლო 15 წუთი ტორპედოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ თბილისელთა დაცვა, განსაკუთრებით კი ხურცილავა, მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. თბილისელებმა მეტად საჭირო 2 ქულა მოიხვეჭეს.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 4 ნოემბერი, 1967 წ.